საქართველოს პარლამენტი

# რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი

**2-2993/20**
**18-02-2020**

საქართველოს პარლამენტის

საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს,

ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

ქალბატონო ეთერ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 44-ე მუხლის შესაბამისად, გიგზავნით რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

დანართი: 44 ფურცელი.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ზაზა გაბუნია

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

# საქართველოს პარლამენტის
# 2020 წლის სამოქმედო გეგმა
# ასოცირების შეთანხმების შესრულების შესახებ

2020

დოკუმენტი მოამზადა საქართველოს პარლამენტმა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შემდგომ განაახლა ევროკავშირის პროექტის ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა - II-ის მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს პარლამენტი და შეიძლება არ გამოხატავდეს მათ პოზიციას.

შესავალი ........ 3
საქართველოს პარლამენტის როლი ასოცირების შეთანხმების შესრულების პროცესში........ 4
საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი........ 4
საქართველოს პარლამენტის დარგობრივი კომიტეტები ........ 5
საქართველოს პარლამენტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა ასოცირების შეთანხმების შესრულების შესახებ ........ 8
ასოცირების შეთანხმების განხორციელება: საკანონმდებლო დაახლოება ........ 9
**გარემოს დაცვა** ........ 9
**კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები** ........ 14
**ენერგეტიკა** ........ 14
**ტრანსპორტი** ........ 18
**საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტი** ........ 21
**საჰაერო სივრცე** ........ 22
**მომხმარებელთა პოლიტიკა** ........ 22
**დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები** ........ 25
**საზოგადოებრივი ჯანმრთელობა** ........ 29
**ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი და კორპორაციული მმართველობა** ........ 30
**ფინანსურ მომსახურებასთან დაკავშირებული წესები** ........ 34
**საჯარო შესყიდვები** ........ 37
**დაბეგვრა** ........ 39
**სატელეკომუნიკაციო მომსახურეობა** ........ 39
**საფოსტო და საკურიერო მომსახურებასთან დაკავშირებული წესები** ........ 42
ასოცირების შეთანხმების განხორციელება: საპარლამენტო ზედამხედველობა ........ 43
საქართველოს პარლამენტის საკომუნიკაციო სტრატეგია და გეგმა ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხებზე ........ 51
საკომუნიკაციო სტრატეგია ........ 51
დანართი I. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები ........ 62
დანართი II. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები ........ 71

# შესავალი

2014 წლის 27 ივნისს, ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის (შემდგომში „ასოცირების შეთანხმება“). აღნიშნული შეთანხმება რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 18 ივლისს, 123 ხმით ნულის წინააღმდეგ. ასოცირების შეთანხმება პირობითად ძალაში შევიდა 2014 წლის 1 ივლისს, ხოლო, სრულად მოქმედებს 2016 წლის 1 ივლისიდან, რაც ევროკავშირის მხარემ (ევროპის პარლამენტი და ევროკავშირის წევრი ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოები) რატიფიცირების პროცესი დაასრულა.

ასოცირების შეთანხმება მოიცავს პოლიტიკურ ნაწილს, ასევე, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობისა და სექტორალურ ნაწილს (DCFTA). შეთანხმების მიხედვით, საქართველოს ევალება ქვეყნის კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან (acquis communautaire) დაახლოება გარკვეულ ვადაში. აღსანიშნავია, რომ ეს არის დინამიკური დაახლოების პროცესი. შეთანხმება გაფორმებულია განუსაზღვრელი დროით, თუმცა, გაწერილია ვადები საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის ნორმატიულ აქტებთან დაახლოებისათვის ასოცირების შეთანხმებაში შევიდა შემდეგი სახის ნორმატიული აქტები: რეგულაცია, დირექტივა, გადაწყვეტილება და რეკომენდაცია.

წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს პარლამენტის მიერ ასოცირების შეთანხმების განხორციელებას. ასევე, განსაზღვროს პარლამენტის სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც უკავშირდება შეთანხმების შესრულებისას საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საზედამხედველო და კანონშემოქმედებით საქმიანობას, აგრეთვე, აღნიშნულ თემაზე მოსახლეობასთან კომუნიკაციას.

გეგმის შემუშავებას წინ უძღვოდა საჭიროებათა ანალიზი, რის საფუძველზეც გამოიკვეთა საქართველოს პარლამენტის კომიტეტები, რომლებიც პირდაპირ არიან ჩართულნი ასოცირების შეთანხმების შესრულების პროცესში, მეცხრე მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე (2020 წლის შემოდგომა). თითოეული კომიტეტისათვის ჩატარდა საჭიროებათა შეფასების კვლევა და მომზადდა სამოქმედო გეგმა. მათზე დაფუძნებით კი, შეიქმნა წარმოდგენილი დოკუმენტი.

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავდა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი პროექტის - „საპარლამენტო დემოკრატიის სისტემის გაძლიერება საქართველოში“ - ფარგლებში და განახლდა ევროკავშირის პროექტის ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა - II-ს ფარგლებში. დოკუმენტი მოამზადეს და განაახლეს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტების წარმომადგენლებმა პროექტის კონსულტანტების დახმარებით.

## საქართველოს პარლამენტის როლი ასოცირების შეთანხმების შესრულების პროცესში

საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი განსაზღვრავენ საქართველოს პარლამენტის კონსტიტუციურ პრეროგატივას, განახორციელოს საპარლამენტო კონტროლი და განსაზღვროს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები (მუხლი 1). საქართველოს პარლამენტის ზოგიერთი კომიტეტის (მაგ: ევროპასთან ინტეგრაციის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის და სხვა) დებულება ადგენს, რომ პარლამენტი და მისი კომიტეტები ხელს უწყობენ საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირსა და ევროპულ ინსტიტუტებში, აგრეთვე, ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის დროულ და ეფექტიან განხორციელებას.

ამას გარდა, შეთანხმების 410-ე და 411-ე მუხლები დამატებით განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის როლს ასოცირების შეთანხმების შესრულებაში. ამ მუხლების მიხედვით, პარლამენტი ზედამხედველობას უწევს ასოცირების შეთანხმების განხორციელებას, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და შესასრულებლად წარუდგენს საქართველოს მთავრობასა თუ ევროკავშირის შესაბამის ინსტიტუტებს. 2014-2017 წლებში პარლამენტს ეკისრებოდა ზედამხედველობა საქართველოს მთავრობის ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგიის შესრულებაზე.

პარლამენტი ჩართულია საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის მუშაობაში, რაც მნიშვნელოვანია ასოცირების შეთანხმების შესრულებისთვის, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებათა თანამშრომლობის თვალსაზრისით. კომისიის ამოცანაა, ხელი შეუწყოს ევროინტეგრაციის პროცესსა და ცალკეული ინსტიტუტების კოორდინირებულ მუშაობას ამ კუთხით.

### საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში განსაკუთრებული როლი აქვს საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს. კანონშემოქმედებითი და საზედამხედველო ფუნქციების განხორციელების გზით, კომიტეტი ხელს უწყობს საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირსა და ევროპულ ინსტიტუტებში. იგი ზედამხედველობს ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის დროულ და ეფექტიან განხორციელებას. ამ მიზნით კომიტეტი თვალყურს ადევნებს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან დაახლოების პროცესს და მონიტორინგს უწევს ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. შესაბამის შემთხვევებში, მჭიდროდ თანამშრომლობს დარგობრივ კომიტეტებთან, გეგმავს და წარმართავს საერთო ღონისძიებებს, ანგარიშების მოსმენას, სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციებს.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი ხელმძღვანელობს საქართველოს დელეგაციის საქმიანობას ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილ ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების საპარლამენტო კომიტეტში, ასევე, ევროკავშირის აღმოსავლეთი პარტნიორობის „ევრონესტის" საპარლამენტო ასამბლეაში. კომიტეტი მონაწილეობს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული პარლამენტების ევროპულ საკითხთა კომიტეტების საპარლამენტთაშორისო კონფერენციის (COSAC) მუშაობაშიც.

კომიტეტის საინფორმაციო და საგანმანათლებლო საქმიანობა ემსახურება ევროინტეგრაციული პროცესების პოპულარიზაციას. ამ კუთხით, იგი არის ძირითადი პასუხისმგებელი ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხებზე საქართველოს პარლამენტის საკომუნიკაციო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულებაზე. ამ ამოცანის შესასრულებლად კომიტეტი თანამშრომლობს პარლამენტის სხვა კომიტეტებსა და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან.

## საქართველოს პარლამენტის დარგობრივი კომიტეტები

სამაგიდო კვლევამ აჩვენა, რომ ასოცირების შეთანხმების მიხედვით, საქართველომ აიღო კანონმდებლობის დაახლოების ვალდებულება ევროკავშირის მინიმუმ 346 დირექტივასთან, 213 რეგულაციასთან, 57 გადაწყვეტილებასა და 31 რეკომენდაციასთან. საგულისხმოა, რომ 2019-2020 წლებში - მეცხრე მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების პერიოდში - საქართველოს შესრულებული უნდა ჰქონდეს ამ ვალდებულებათა ნახევარი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღნიშნული რეგულაციები, დირექტივები, რეკომენდაციები და გადაწყვეტილებები ჩაშლილია სფეროებისა და გარდამავალი პერიოდით გათვალისწინებული ვადების მიხედვით.[1] გარდამავალი ვადის ათვლა იწყება 2014 წლის 1 სექტემბერიდან, როდესაც ასოცირების შეთანხმების დიდი ნაწილი პირობითად ძალაში შევიდა. ასევე, მოცემულია ინფორმაცია ევროკავშირსა და საქართველოს შორის ორმხრივი მოლაპარაკებების საფუძველზე სამართლებრივ აქტებთან დაახლოების ვადების ცვლილებასთან და დინამიურ დაახლოებასთან დაკავშირებით.[2]

**რეგულაციები[3]**

| სფეროს დასახელება | 2019 | 2020 | სულ |
|---|---|---|---|

[1] ცხრილში მოცემულია ევროკავშირის სამართლებრივ აქტების რაოდენობა, რომელთანაც ასოცირების შეთანხმებით 2019 წლის 1 სექტემბრამდე უნდა მომხდარიყო ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება და იგეგმება 2020 წელს.

[2] ასოცირების შეთანხმების 419-ე მუხლის მიხედვით, ევროკავშირის სამართალთან ეტაპობრივი დაახლოების მიზნების შესაბამისად, ასოცირების საბჭო პერიოდულად გადახედავს და განაახლებს წინამდებარე შეთანხმების დანართებს. ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან დაახლოების ვადები ცხრილში მოცემულია 2020 წლის იანვრის მდგომარეობით.

[3] რეგულაციებთან საქართველოს კანონმდებლობის ნაწილობრივ ან სრულად დაახლოება.

| | | | |
|---|---|---|---|
| საჰაერო სივრცე [4] | 0 | 2 | 2 |
| ტრანსპორტი | 2 | 1 | 3 |
| ენერგეტიკა | 4 | 5 | 9 |
| კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები | 1 | 0 | 1 |
| მომხმარებელთა პოლიტიკა | 1 | 0 | 1 |
| სექტორული კანონმდებლობა | 3 | 0 | 3 |
| **ჯამი** | **11** | **8** | **19** |

**დირექტივები[5]**

| სფეროს დასახელება | 2019[6] | 2020 | სულ |
|---|---|---|---|
| სექტორული კანონმდებლობა | 9 | 0 | **9** |
| ფინანსურ მომსახურებასთან დაკავშირებული წესები | 3 | 6 | **9** |
| საჯარო შესყიდვები | 2 | 2 | **4** |
| სატელეკომუნიკაციო მომსახურებისთვის განსაზღვრული წესები | 1 | 0 | **1** |
| საფოსტო და საკურიერო მომსახურებასთან დაკავშირებული წესები | 3 | 0 | **3** |
| წესები საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტის სფეროში | 2 | 0 | **2** |
| დაბეგვრა | 1 | 0 | **1** |

[4] საქართველოსა და ევროკავშირს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმება ძალაში არ არის შესული. საქართველომ და ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა დოკუმენტის რატიფიცირება დაასრულეს, მის ძალაში შესვლასთან დაკავშირებული პროცედურები დასკვნით ეტაპზეა, ევროპარლამენტის მიერ მისაღებია გადაწყვეტილება. ვადები მოცემულია 2020 წლის საგაზაფხულო სესიაზე საქართველოს პარლამენტში საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარსადგენ კანონპროექტთა ნუსხიდან.

[5] დირექტივასთან საქართველოს კანონმდებლობის ნაწილობრივ ან სრულად დაახლოება.

[6] ცხრილში მოცემულია ევროკავშირის სამართლებრივ აქტების რაოდენობა, რომელთანაც ასოცირების შეთანხმებით 2019 წლის 1 სექტემბრამდე უნდა მომხდარიყო ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება და იგეგმება 2020 წელს.

| | | | |
|---|---|---|---|
| ტრანსპორტი | 3 | 0 | **3** |
| გარემოს დაცვა | 10 | 3 | **13** |
| კორპორაციული სამართალი, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი, კორპორატიული მმართველობა | 1 | 1 | **2** |
| მომხმარებელთა პოლიტიკა | 9 | 0 | **9** |
| დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები | 8 | 2 | **10** |
| საზოგადოებრივი ჯანმრთელობა | 1 | 1 | **2** |
| ენერგეტიკა | 2 | 0 | **2** |
| **ჯამი** | **55** | **15** | **70** |

აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, გამოიკვეთა დარგობრივი საპარლამენტო კომიტეტები, რომლებიც ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტთან კოორდინაციით, უნდა ჩაერთონ საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან დაახლოების პროცესში. ეს საპარლამენტო კომიტეტებია:

- აგრარულ საკითხთა
- ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის
- განათლების, მეცნიერებისა და კულტურის
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების
- დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის
- იურიდიულ საკითხთა
- საფინანსო-საბიუჯეტო
- ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი
- რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება 2014 წლის 1 სექტემბრიდან მოქმედებს. ამდენად, საქართველოს პარლამენტი და შესაბამისი კომიტეტები უკვე მუშაობენ შეთანხმების შესრულებაზე. თუმცა, ზემოთ მოცემული ცხრილები ცხადყოფს, რომ კომიტეტებისა და, ზოგადად, პარლამენტის როლი მეტად უნდა გაიზარდოს შეთანხმების განხორციელების პროცესში. ჩატარებული საბაზისო კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კომიტეტის აპარატებში ძირითადად დასაქმებულნი არიან პროფესიით იურისტები, ეკონომისტები და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები. თუმცა, დასაქმებულთაგან მცირეა ევროკავშირის სამართლის სპეციალისტები. გარდა ამისა, კომიტეტის აპარატის ზოგიერთ თანამშრომელს დონორთა დაფინანსებით გავლილი აქვს ტრენინგი საკანონმდებლო

დაახლოების ან/და რეგულირების გავლენის ანალიზის საკითხებში, თუმცა, კომიტეტებში ამ მიმართულებით ცოდნა კვლავ მწირია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის დროული და ეფექტიანი შესრულებისათვის, მნიშვნელოვანია პარლამენტის ადამიანური რესურსების გაძლიერება.

## საქართველოს პარლამენტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა ასოცირების შეთანხმების შესრულების შესახებ

წინამდებარე სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზნებს სამი ძირითადი მიმართულებით:

1. საქართველოს პარლამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობა, რომელიც ასოცირების შეთანხმების შესრულებას უკავშირდება;
2. ასოცირების შეთანხმების შესრულების პროცესზე საზედამხედველო საქმიანობა;
3. ასოცირების შეთანხმებისა და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის შესახებ საქართველოს მოქალაქეებისთვის ინფორმაციის მიწოდება.

სამოქმედო გეგმაში მოცემულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა დახმარებითაც მიიღწევა სტრატეგიული მიზანი. გეგმა მოიცავს შესრულების ინდიკატორებს, რომლებიც თითოეული აქტივობის შესრულებისა და შესრულების ხარისხის შეფასების საშუალებას იძლევა. წარმოდგენილი დოკუმენტი დაეხმარება საქართველოს პარლამენტს, უკეთ წარმართოს თავისი საქმიანობა ასოცირების შეთანხმების შესრულების მიმართულებით, უზრუნველყოს ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების, ექსპერტებისა და სხვა დაინტერესებული ჯგუფების ჩართულობა, მიაწოდოს მოსახლეობას ინფორმაცია ევროკავშირთან დაახლოების პროცესის შესახებ.

# ასოცირების შეთანხმების განხორციელება: საკანონმდებლო დაახლოება

| ღონისძიება | შესაბამისობა ასოცირების შეთანხმებასთან | პასუხისმგებელი კომიტეტები | სხვა მონაწილე მხარე | პერიოდი | ინდიკატორი | დადასტურების წყარო |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გარემოს დაცვა** | | | | | | |
| 1. „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“, „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტის მიღება | 2004/35/EC დირექტივა გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც შეეხება გარემოსთვის ზიანის მიყენების პრევენციასა და დაზიანებული გარემოს აღდგენას<br><br>SDG ამოცანა 15.1, 15.3 15.4 | გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 2020 წლის საგაზაფხულო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 2004/35/EC დირექტივასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |
| 2. საქართველოს ტყის კოდექსის შემუშავება და მიღება | DCFTA, მუხლი 233<br><br>SDG ამოცანა 15.2 და 15.5 | გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br><br>სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო | 2020 წლის საგაზაფხულო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია DCFTA-ს 233 -ე მუხლით ნაკისრი ვალდებულების შესრულება | საკანონმდებლო მაცნე |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br><br>ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი<br><br>საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტი<br><br>იურიდიულ საკითხთა კომიტეტი | | | | |
| 3. | წყლის სექტორის საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური რეფორმის განხორციელება<br><br>მათ შორის, „წყლის რესურსების მართვის შესახებ" კანონის მიღება | 2000/60/EC დირექტივა წყლის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი მოქმედებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ<br><br>91/271/ EC დირექტივა ურბანული ჩამდინარე წყლის გაწმენდის შესახებ<br><br>98/83/EC დირექტივა ადამიანის მოხმარებისათვის | გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 2020 წლის საგაზაფხულო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით უზრუნველყოფილია წყლის სექტორში ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განკუთვნილი წყლის ხარისხის შესახებ<br><br>91/676/EEC დირექტივა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ნიტრატებით წყლების დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ<br><br>2007/60/EC დირექტივა წყალდიდობის რისკების შეფასებისა და მართვის შესახებ<br><br>2008/56/EC დირექტივა საზღვაო გარემოს დაცვის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი ქმედებებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ<br><br>SDG ამოცანა 6.1 და 6.2 | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. | „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონის მიღება | 2008/50/EC დირექტივა ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ევროპაში უფრო სუფთა ჰაერის შესახებ<br><br>2004/107/EC დირექტივა ატმოსფერულ ჰაერში დარიშხანის, კადმიუმის, ვერცხლისწყლის, ნიკელის და პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების შემცველობის შესახებ<br><br>SDG ამოცანა 11.6 | გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 2020 წლის საგაზაფხულო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 2008/50/EC და 2004/107/EC დირექტივებთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |
| 5. | „სახიფათო ქიმიური ნივთიერებებით ან ქიმიური ნარევებით გამოწვეული მასშტაბური ავარიების პრევენციის შესახებ“ კანონის მიღება | 2012/18/EC დირექტივა სახიფათო ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებული დიდი ავარიების საფრთხეების შესახებ, რომელიც აუქმებს 96/82 EC დირექტივას<br><br>DCFTA, მუხლი 230(2)<br><br>ჰელსინკის კონვენცია<br><br>SDG ამოცანა 3.9 | გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 2020 წლის საშემოდგომო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 2012/18/EC დირექტივასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6. | „სამრეწველო ემისიების შესახებ“ კანონის მიღება | 2010/75/EC დირექტივა სამრეწველო ემისიების შესახებ<br><br>SDG ამოცანა 11.6 | გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 2020 საშემოდგომო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 2010/75/ /EC დირექტივასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |
| 7. | „ნარჩენების მართვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონის მიღება | 2008/98/EC დირექტივა ნარჩენების შესახებ<br><br>SDG ამოცანა 11.6 | გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | საქართველოს მთავრობა<br><br>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br><br>გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი<br><br>დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი | 2020 წლის საგაზაფხულო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 2008/98/EC დირექტივასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |
| 8. | „სამთო მრეწველობის ნარჩენების შესახებ“ კანონის მიღება | 2006/21/EC დირექტივა მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების მართვის შესახებ<br><br>SDG ამოცანა 11.6 | გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 2020 წლის საშემოდგომო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 2006/21/EC დირექტივასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები** | | | | | | | |
| 9. | „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონის მიღება | 1005/2009 რეგულაციის "ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ მე-4, 22-ე, 27-ე მუხლები<br>SDG ამოცანა 11.6 | გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი<br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 2020 წლის საშემოდგომო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 1005/2009 რეგულაციასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |
| **ენერგეტიკა** | | | | | | | |
| 10. | „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ კანონის მიღება | 2010/31/EU დირექტივა შენობების ენერგოეფქტურობის შესახებ<br>SDG ამოცანა 7.3 | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | 2020 წლის საგაზაფხულო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 2010/31/EU დირექტივასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |
| 11. | „ენერგოეფექტურობის შესახებ“ კანონის მიღება | 2012/27/EU დირექტივა ენერგოეფექტურობის შესახებ<br>SDG ამოცანა 7.3 | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | 2020 წლის საგაზაფხულო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 2012/27/EU დირექტივასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12. | „ნავთობისა და გაზის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონის მიღება | 94/22/EC დირექტივა ნახშირწყალბადის რესურსების ძიების, მოპოვებისა და წარმოების ნებართვების მიღებისა და გამოყენების პირობების შესახებ | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | 2020 წლის საგაზაფხულო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 94/22/EC დირექტივასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |
| 13. | საკანონმდებლო ცვლილებების მიღება ბუნებრივი აირის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფის თაობაზე | 2017/1938 რეგულაცია ბუნებრივი აირის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების შესახებ, რომელიც აუქმებს 2004/67 დირექტივას | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | 2020 წლის საშემოდგომო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 2017/1938 რეგულაციასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |
| 14. | საკანონმდებლო ცვლილებების მიღება ეკოდიზაინის მოთხოვნების წესების შემოღებასთან დაკავშირებით | 1275/2008 რეგულაცია, რომელიც ახორციელებს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/32/EC დირექტივას, ელექტრო და ელექტრონული საყოფაცხოვრებო და საოფისე მოწყობილობების მიერ მოლოდინის და გამორთულ რეჟიმში ელექტროენერგიის მოხმარების | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | 2020 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია ეკოდიზაინის საკითხებზე ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ეკოდიზაინის მოთხოვნებთან მიმართებით<br><br>641/2009 რეგულაცია, რომელიც ახორციელებს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/32/EC დირექტივას პროდუქტში ინტეგრირებული კონდიცირებისა და გათბობის სისტემების ცირკულარის ეკოდიზაინის მოთხოვნებთან მიმართებით<br><br>N 1015/2010 რეგულაცია, რომელიც უზრუნველყოფს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/125/EC დირექტივის განხორციელებას, საყოფაცხოვრებო სარეცხი მანქანების ეკოდიზაინის მოთხოვნებთან მიმართებით<br><br>640/2009 რეგულაცია, რომელიც ახორციელებს | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/32/EC დირექტივას, ელექტრო ძრავების ეკოდიზაინის მოთხოვნებთან მიმართებით<br><br>(EC) N 643/2009 რეგულაცია, რომელიც ახორციელებს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/32/EC დირექტივას საყოფაცხოვრებო სამაცივრე მოწყობილობების ეკოდიზაინის მოთხოვნებთან მიმართებით<br><br>642/2009 რეგულაცია, რომელიც ახორციელებს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/32/EC დირექტივას ტელევიზორების ეკოდიზაინის მოთხოვნებთან მიმართებით<br><br>(EU) N 1016/2010 რეგულაცია, რომელიც უზრუნველყოფს ევროპარლამენტისა და | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საბჭოს 2009/125/EC დირექტივის განხორციელებას საყოფაცხოვრებო ჭურჭლის სარეცხი მანქანების ეკოდიზაინის მოთხოვნების შესახებ<br><br>(EC) N 107/2009 რეგულაცია, რომელიც ახორციელებს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/32/EC დირექტივას მოდემების ეკოდიზაინის მოთხოვნებთან მიმართებით<br><br>SDG ამოცანა 7.3 | | | | | |
| **ტრანსპორტი** | | | | | | | |
| 15. | „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკანონმდებლო პაკეტის მიღება | 2006/126/EC დირექტივა მართვის მოწმობების თაობაზე | იურიდიულ საკითხთა კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი<br><br>ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი | შინაგან საქმეთა სამინისტრო | 2020 წლის საგაზაფხულო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 2006/126 დირექტივასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი<br><br>ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი | | | | |
| 16. | „საქართველოს სარკინიგზო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტის მიღება | 1370/2007 რეგულაცია საზოგადოებრივი, სამგზავრო, სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებების შესახებ | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი<br><br>საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო<br><br>საქართველოს რკინიგზა | 2020 წლის საგაზაფხულო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 1370/2007 რეგულაციასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |
| 17. | საკანონმდებლო ცვლილების მიღება მოძრავ საგზაო ტრანსპორტთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელ პირთა სამუშაო დროის ორგანიზების თაობაზე | 2002/15/EC დირექტივა მოძრავ საგზაო ტრანსპორტთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელ პირთა სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ<br><br>SDG ამოცანა 8.8 | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო<br><br>სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო<br><br>სს საქართველოს რკინიგზა | 2020 წლის საგაზაფხულო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 2002/15/EC დირექტივასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18. | „საქართველოს სარკინიგზო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტის მიღება | 2008/68/EC დირექტივა სახიფათო ტვირთის შიდა ტრანსპორტირების შესახებ | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო<br><br>სს საქართველოს რკინიგზა | 2020 წლის საგაზაფხულო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 2008/68/EC დირექტივასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |
| 19. | ,,სარკინიგზო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე’’კანონის მიღება, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტის მიღება | 2007/59/EC დირექტივა იმ მატარებლის მემანქანეთა სერტიფიცირების შესახებ, რომლებიც მართავენ ლოკომოტივებსა და მატარებლებს გაერთიანების სარკინიგზო სისტემაში | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო<br><br>სს საქართველოს რკინიგზა | 2020 წლის საგაზაფხულო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 2007/59/EC დირექტივასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |
| 20. | საკანონმდებლო ცვლილების მიღება საქართველოში საგზაო, ტრანსპორტის სფეროში უსაფრთხოების პირობებთან დაკავშირებით, ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად | 2006/22/EC დირექტივა საგზაო ტრანსპორტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სოციალური კანონმდებლობის შესახებ | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი<br><br>ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო<br><br>სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო<br><br>სს საქართველოს რკინიგზა | 2020 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია ტრანსპორტის სფეროში უსაფრთხოების პირობებთან დაკავშირებით ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ინტეგრაციის კომიტეტი | | | | | |
| **საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტი** | | | | | | | | |
| 21. | „საზღვაო შრომის კონვენცია 2006“-თან შეერთება და საქართველოს კანონის „მეზღვაურთა დასაქმების შესახებ“ მიღება | 1999/63/EC დირექტივა, რომელიც ეხება „მეზღვაურთა სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ“ შეთანხმებას<br><br>1999/95/EC დირექტივა გაერთიანების ნავსადგურებში შემოსული გემების ბორტზე მეზღვაურთა სამუშაო საათებთან მიმართებით დებულებათა ამოქმედების თაობაზე<br><br>SDG ამოცანა 8.8 | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი<br><br>ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი<br><br>საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო<br><br>სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო | 2020 წლის საგაზაფხულო სესია | „საზღვაო შრომის კონვენცია 2006“-თან შეერთებით და „მეზღვაურთა დასაქმების შესახებ“ საქართველოს კანონით მიღებით უზრუნველყოფილია 1999/63/EC და 1999/95/EC დირექტივებთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |
| 22. | „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონის მიღება | 336/2006 რეგულაცია ევროკავშირის გაერთიანების ფარგლებში საერთაშორისო უსაფრთხოების მართვის კოდექსის იმპლემენტაციის შესახებ | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო<br><br>სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო | 2020 წლის საგაზაფხულო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 336/2006 რეგულაციასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | იურიდიულ საკითხთა კომიტეტი | | | | |
| **საჰაერო სივრცე** | | | | | | | |
| 23. | „საქართველოს საჰაერო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონის მიღება | „ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“ შეთანხმება, დანართი III<br><br>1321/2014 რეგულაცია საავიაციო ტექნიკის ფრენის ვარგისობის შენარჩუნების მოთხოვნების შესახებ | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | საქართველოს მთავრობა<br><br>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო<br><br>სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო | 2020 წლის საგაზაფხულო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 1321/2014 რეგულაციასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |
| 24. | „საქართველოს საჰაერო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონის მიღება | N1008/2008 რეგულაცია ევროკავშირის ტერიტორიაზე გადაზიდვების წარმოების წესის შესახებ. | ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | საქართველოს მთავრობა<br><br>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო<br><br>სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო | 2020 წლის საგაზაფხულო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 1008/2008 რეგულაციასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |
| **მომხმარებელთა პოლიტიკა** | | | | | | | |
| 25. | „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შემუშავება და მიღება | 98/6/EC დირექტივა მომხმარებელთა დაცვის შესახებ მომხმარებელთათვის შეთავაზებული | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | 2020 წლის საგაზაფხულო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია მომხმარებელთა დაცვის სფეროში | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | პროდუქტების ფასების მითითებისას<br><br>2009/22/EC დირექტივა მომხმარებელთა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მითითებების შესახებ<br><br>2005/29/EC დირექტივა შიდა ბაზარზე კომპანიასა და მომხმარებელს შორის არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ („დირექტივა არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ“)<br><br>2006/2004 რეგულაცია მომხმარებლის დაცვის შესახებ კანონების აღსრულებაზე პასუხისმგებელ ეროვნულ ორგანოებს შორის თანამშრომლობის შესახებ (რეგულაცია მომხმარებლის დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ) | ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი<br><br>ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი<br><br>იურიდიულ საკითხთა კომიტეტი<br><br>საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი | სსიპ კონკურენციის სააგენტო | | დირექტივებთან დაახლოება | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2006/114/EC შეცდომაში შემყვანი და შედარებითი რეკლამის შესახებ<br><br>1999/44/EC დირექტივა სამომხმარებლო საქონლის გაყიდვისა და მასთან დაკავშირებული გარანტიების ზოგიერთი ასპექტის შესახებ<br><br>93/13/EEC დირექტივა მომხმარებელთა კონტრაქტებში არასამართლიანი პირობების შესახებ<br><br>2011/83/EU დირექტივა მომხმარებელთა უფლებების შესახებ<br><br>SDG ამოცანა 16.6 | | | | | |
| 26. | „ტურიზმის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონის მიღება | 2015/2302 დირექტივა მოგზაურობის, არდადეგებისა და ტურების პაკეტების შესახებ<br><br>2008/122/EC დირექტივა მომხმარებელთა დაცვის შესახებ დროის წილობრივი განაწილების | **დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი**<br><br>**ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი** | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო<br><br>სსიპ კონკურენციის სააგენტო | 2020 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 2015/2302/EC და 2008/122/EC დირექტივებთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გრძელვადიანი არდადეგების, გადაყიდვისა და გაცვლის კონტრაქტების ზოგიერთ ასპექტთან დაკავშირებით<br><br>SDG ამოცანა 8.9 და 16.6 | ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი | | | | |
| **დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები** | | | | | | | |
| 27. | „საქართველოს შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტის მიღება | 91/533/EEC დირექტივა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებსა ან დასაქმებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე დამსაქმებლის მიერ დასაქმებულთა ინფორმირების ვალდებულების შესახებ<br><br>1999/70/EC დირექტივა ევროპის პროფკავშირების კონფედერაციის (ETUC), ევროპის მრეწველთა და დამსაქმებელთა კონფედერაციის კავშირისა (UNICE) და დამსაქმებელთა და საწარმოთა ევროპული | ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი<br><br>ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი<br><br>დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br><br>იურიდიულ საკითხთა კომიტეტი | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო<br><br>იუსტიციის სამინისტრო<br><br>საერთაშორისო ორგანიზაციები (შსო, ებერტის ფონდი)<br><br>ევროკავშირი | 2020 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია დასაქმების, სოციალური პოლიტიკის და თანაბარი შესაძლებლობების ფეროში დირექტივებთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ცენტრის (CEEP) მიერ გაფორმებული „ვადიანი სამუშაოს შესახებ“ ჩარჩო შეთანხმების თაობაზე<br><br>97/81/EC დირექტივა ევროპის მრეწველთა და დამსაქმებელთა კონფედერაციის კავშირის (UNICE), დამსაქმებელთა და საწარმოთა ევროპული ცენტრისა (CEEP) და ევროპის პროფკავშირების კონფედერაციის (ETUC) მიერ გაფორმებული „ნახევარ განაკვეთზე სამუშაოს შესახებ“ ჩარჩო შეთანხმების თაობაზე - დანართი: „ნახევარ განაკვეთზე სამუშაოს შესახებ“ ჩარჩო შეთანხმება<br><br>2002/14/EC დირექტივა, რომელიც აყალიბებს ზოგად ჩარჩოს ევროპის თანამეგობრობაში დასაქმებულთა ინფორმირებისა და მათთვის კონსულტაციების გაწევის მიზნით - ევროპარლამენტის, საბჭოსა და ევროკომისიის | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ერთობლივი დეკლარაცია დასაქმებულთა წარმომადგენლობის შესახებ<br><br>2006/54/EC დირექტივა, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებისა და საქმიანობის საკითხებთან მიმართებით მამაკაცისა და ქალის თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელებას<br><br>92/85/EEC დირექტივა, რომელიც ეხება ორსულ, ახალნამშობიარევ და მეძუძურ მუშაკთათვის შრომის უსაფრთხო პირობებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შემოღებას (მე–10 ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში)<br><br>98/59/EC დირექტივა სამსახურიდან კოლექტიური | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გათავისუფლების შესახებ წევრ სახელმწიფოთა კანონების დაახლოების თაობაზე<br><br>2001/23/EC დირექტივა საწარმოებისა და ბიზნესების სრული ან ნაწილობრივი გასხვისების შემთხვევაში დასაქმებულთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით წევრ სახელმწიფოთა კანონების დაახლოების თაობაზე<br><br>91/383/EC დირექტივა, რომელიც ავსებს ფიქსირებული ვადით ან დროებით დასაქმებულ მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების ხელშემწყობ ზომებს<br><br>2003/88/EC დირექტივა სამუშაო დროის ორგანიზების გარკვეული ასპექტების შესახებ<br><br>SDG ამოცანა 10.3 | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 28. | „დასაქმების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება | ასოცირების დღის წესრიგი 2017-2020<br>SDG ამოცანა 8.8 | ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი<br><br>დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br><br>საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი<br><br>ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო<br><br>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო<br><br>ფინანსთა სამინისტრო | 2020 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |
| **საზოგადოებრივი ჯანმრთელობა** | | | | | | | |
| 29. | „თამბაქოს კონტროლის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონის მიღება | 2014/40/EC დირექტივა თამბაქოს პროდუქტების წარმოების, პრეზენტაციისა და რეალიზაციის თაობაზე | ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და | 2020 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 2014/40/EC დირექტივასთან და | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | წევრ სახელმწიფოთა კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების დაახლოების შესახებ<br>2003/54/EC რეკომენდაცია თამბაქოს მოწევის პრევენციისა და თამბაქოს კონტროლის სრულყოფასთან დაკავშირებული ინიციატივების შესახებ<br>SDG ამოცანა 3a | ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი<br>ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი<br>იურიდიულ საკითხთა კომიტეტი | სოციალური დაცვის სამინისტრო | | 2003/54/EC რეკომენდაციასთან დაახლოება | |
| **ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი და კორპორაციული მმართველობა** | | | | | | | |
| 30. | „ბუღალტრული აღიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტის მიღება | 2013/34/EU დირექტივა „ზოგიერთი კატეგორიის საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგების, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და დაკავშირებული ანგარიშების შესახებ | საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი<br>დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | ფინანსთა სამინისტრო<br>ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური | 2020 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 2013/34/EC დირექტივასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |
| 31. | „მეწარმეთა შესახებ“ კანონის პროექტის მიღება | 2007/36/EC დირექტივა საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური | იუსტიციის სამინისტრო | 2020 წლის საგაზაფხულო | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ნებადართული აქციების ემიტენტ (ჩამოთვლილ) კომპანიებში აქციონერთა გარკვეული უფლებების განხორციელების თაობაზე<br><br>2012/30/ EC დირექტივა, რომელიც ადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიების კაპიტალის წარმოშობისა და ცვლილებების მინიმალურ სტანდარტებს<br><br>2011/35/ EC დირექტივა, რომელიც განსაზღვრავს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის ტიპის კომპანიების შერწყმასთან დაკავშირებულ წესებს<br><br>82/891/EC დირექტივა შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიების გაყოფის შესახებ | პოლიტიკის კომიტეტი<br><br>საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი<br><br>იურიდიულ საკითხთა კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | | და საშემოდგომო სესია | უზრუნველყოფილია 2007/36/EC, 2012/30/ EC, 2011/35/ EC, 82/891/EC, 89/666/EC და 2009/101/EC დირექტივებთან დაახლოება | შესაბამისობის ცხრილი |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 89/666/EC დირექტივა, რომელიც ეხება მეორე სახელმწიფოს სამართლით დარეგულირებული გარკვეული კატეგორიის კომპანიების მიერ წევრ სახელმწიფოებში ფილიალების გახსნასთან დაკავშირებით კომპანიის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების მოთხოვნებს<br><br>2009/101/EC დირექტივა იმ გარანტიების კოორდინაციის თაობაზე, რომლებსაც, წევრებისა და მესამე მხარეების ინტერესების დასაცავად ითხოვენ კომპანიებისგან წევრი სახელმწიფოები<br><br>SDG ამოცანა 8.3 | | | | | |
| 32. | „სამოქალაქო ან კომერციულ საქმეებზე სასამართლო და არასასამართლო დოკუმენტების საზღვარგარეთ ჩაბარების შესახებ“ ჰააგის 1965 წლის კონვენციასთან და „სამოქალაქო ან | ასოცირების შესახებ შეთანხმება მუხლი 21<br><br>საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგი 2017-2020 | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი | იუსტიციის სამინისტრო | 2020 წლის საგაზაფხულო სესია | კონვენციებთან შეერთებით და მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია ასოცირების შეთანხმებითა და | საკანონმდებლო მაცნე | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | კომერციულ საქმეებზე მტკიცებულებათა საზღვარგარეთ მოპოვების შესახებ“ ჰააგის 1970 წლის 18 მარტის კონვენციასთან შეერთება და „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონის მიღება | | საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი<br><br>იურიდიულ საკითხთა კომიტეტი<br><br>საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | | | ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება | |
| 33. | „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ კანონის მიღება | 2004/25/EC დირექტივა ერთი კომპანიის მიერ მეორე კომპანიის აქციების საკონტროლო პაკეტის ყიდვის შესახებ | საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი<br><br>დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br><br>იურიდიულ საკითხთა კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | ფინანსთა სამინისტრო<br>ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | 2020 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 2004/25/EC დირექტივასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |
| 34. | „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონში | 596/2014 რეგულაცია საბაზრო ძალაუფლების | საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი | ფინანსთა სამინისტრო | 2020 წლის საგაზაფხულო და | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ცვლილებების შეტანის თაობაზე“ კანონის მიღება | ბოროტად გამოყენების შესახებ | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br><br>იურიდიულ საკითხთა კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | საშემოდგომო სესია | უზრუნველყოფილია 596/2014/EC რეგულაციასთან დაახლოება | შესაბამისობის ცხრილი |
| **ფინანსურ მომსახურებასთან დაკავშირებული წესები** | | | | | | | |
| 35. | „ფინანსური კონგლომერატების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება | 2002/87/EC დირექტივა ფინანსურ კონგლომერატში საკრედიტო ინსტიტუტების, სადაზღვევო კომპანიებისა და საინვესტიციო კომპანიების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ | საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | ფინანსთა სამინისტრო<br><br>ეროვნული ბანკი<br><br>სსიპ დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური | 2020 წლის საგაზაფხულო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 2002/87/EC დირექტივასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |
| 36. | საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტის მიღება | 2015/2366/EC დირექტივა, რომელიც აუქმებს 2007/64/EC დირექტივას შიდა ბაზარზე საგადახდო | საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი | ფინანსთა სამინისტრო<br><br>ეროვნული ბანკი | 2020 წლის საგაზაფხულო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 2015/2366 | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მომსახურებების შესახებ. | ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | | | დირექტივასთან დაახლოება | |
| 37. | „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონის მიღება | 2013/36/EC დირექტივა საკრედიტო ინსტიტუტებისა და საინვესტიციო ფირმების პრუდენციული ზედამხედველობის თაობაზე<br><br>575/2013 რეგულაცია საკრედიტო დაწესებულებებსა და საინვესტიციო კომპანიებთან დაკავშირებული გონივრული მოთხოვნების შესახებ, რომლითაც შესწორებები შედის 648/2012 რეგულაციაში | საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი<br><br>დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო<br><br>ეროვნული ბანკი | 2020 წლის საგაზაფხულო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 2013/36/EC დირექტივასთან და 575/2013 რეგულაციასთან ნაწილობრივი დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |
| 38. | „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ კანონის მიღება | 2009/65/EC დირექტივა მიმოქცევად ფასიან ქაღალდებში კოლექტიური ინვესტიციების განსახორციელებლად შექმნილ საწარმოსთან (UCITS) მიმართებით კანონების, რეგულაციებისა და | საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი<br><br>დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო<br><br>ეროვნული ბანკი | 2020 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 2009/65/EC და 2007/16/EC დირექტივასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ადმინისტრაციული დებულებების კოორდინაციის შესახებ | ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | | | | |
| 39. | საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ კანონის მიღება | 2009/103/EC დირექტივა, რომელიც ეხება ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენებისას სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას და მოცემულ პასუხისმგებლობასთან მიმართებით ამ ვალდებულების შესრულებას | იურიდიულ საკითხთა კომიტეტი<br><br>საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი<br><br>დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br><br>ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი<br><br>ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო<br><br>დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური | 2020 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 2009/103/EC დირექტივასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |
| 40. | საკანონმდებლო ცვლილებების მიღება ფინანსური მომსახურების სფეროში ევროკავშირის | 2009/138/EC დირექტივა სადაზღვევო ბიზნესის დაწყებისა და ფუნქციონირების შესახებ | საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო<br><br>სსიპ დაზღვევის სახელმწიფო | 2020 წლის საშემოდგომო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 2009/138/EC | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | კანონმდებლობასთან დაახლოებისთვის | | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი | ზედამხედველობის სამსახური | | დირექტივასთან დაახლოება | |
| **საჯარო შესყიდვები** | | | | | | | |
| 41. | „საჯარო შესყიდვების შესახებ“ კანონის მიღება | 2014/24/EU დირექტივა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომელიც აუქმებს 2004/17 EC დირექტივას | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br><br>საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო<br><br>ფინანსთა სამინისტრო | 2020 წლის საგაზაფხულო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 2014/24/EU დირექტივასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |
| 42. | „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონის მიღება | 2007/66/EC დირექტივა, რომლის საფუძველზეც ცვლილებები შევიდა ევროკავშირის საბჭოს 89/665/EEC და 92/13/EEC დირექტივებში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის პროცედურების | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br><br>საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო<br><br>ფინანსთა სამინისტრო | 2020 წლის საგაზაფხულო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 2007/66/EC დირექტივასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ეფექტიანობის ამაღლების შესახებ | | | | | |
| 43. | საკანონმდებლო ცვლილებების მიღება საჯარო შესყიდვების სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით | 2014/25/EU დირექტივა წყალმომარაგების, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და საფოსტო მომსახურების სექტორში მოქმედი შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შესყიდვის შესახებ, რომელიც აუქმებს 2004/17 EC დირექტივას<br>89/665/EC დირექტივა საქონლის მიწოდებისა და სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის პროცედურების გამოყენებაზე შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების დანერგვის შესახებ (დირექტივა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დავების განხილვის შესახებ) | **დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი**<br>**საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი**<br>**ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი** | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო<br>ფინანსთა სამინისტრო | 2020 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 2014/25/EU, 89/665/EC და 92/13/EC დირექტივებთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 92/13/EC დირექტივა წყლის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და სატელეკომუნიკაციო სექტორში მოქმედი ორგანიზაციების მიერ შესყიდვების პროცედურების ევროკავშირის წესების გამოყენებაზე შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების დანერგვის შესახებ (დირექტივა სექტორების სფეროში დავების განხილვის შესახებ) | | | | | |
| **დაბეგვრა** | | | | | | | |
| 44. | „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ კანონის მიღება | 2006/112/EC დირექტივა დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) საერთო სისტემის შესახებ | საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | ფინანსთა სამინისტრო<br>სსიპ შემოსავლების სამსახური | 2020 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 2006/112/EC დირექტივასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |
| **სატელეკომუნიკაციო მომსახურეობა** | | | | | | | |
| 45. | „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონში | ასოცირების შეთანხმების კარი IV, დანართი XV-B; სატელეკომუნიკაციო | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური | ეკონომიკისა და მდგრადი | 2020 წლის საგაზაფხულო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონის მიღება | მომსახურებისათვის განსაზღვრული წესები<br><br>2002/58/EC დირექტივა ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და პირადი ცხოვრების კონფიდენციალობის დაცვის შესახებ<br><br>2002/19/EC დირექტივა ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებსა და მასთან დაკავშირებულ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის შესახებ<br><br>2002/21/EC დირექტივა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურებების ზოგადი მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ (ჩარჩო დირექტივა), რომელიც | პოლიტიკის კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | განვითარების სამინისტრო<br><br>საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია | | ასოცირების შეთანხმების XV-B-ე დანართში გათვალისწინებული ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან დაახლოება | შესაბამისობის ცხრილი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შესწორდა 2009/140/EC დირექტივით<br><br>2002/20/EC დირექტივა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურებების ავტორიზაციის შესახებ (ავტორიზაციის შესახებ დირექტივა), რომელიც შესწორდა 2009/140/EC დირექტივით | | | | | |
| 46. | საკანონმდებლო ცვლილებების მიღება სატელეკომუნიკაციო მომსახურების სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებისთვის | 2002/22/EC დირექტივა უნივერსალური მომსახურებებისა და ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებსა და მომსახურებებთან დაკავშირებით მომხმარებელთა უფლებების შესახებ | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო<br><br>საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია<br><br>ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი | 2020 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 2002/22/EC დირექტივასთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |
| 47. | „ელექტრონული კომერციის შესახებ" საქართველოს კანონის მიღება | ასოცირების შეთანხმების კარი IV, დანართი XV-B; | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | 2020 წლის საგაზაფხულო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია ასოცირების შეთანხმების XV-B-ე დანართში გათვალისწინებული ევროკავშირის | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო | | სამართლებრივ აქტებთან დაახლოება | |
| **საფოსტო და საკურიერო მომსახურებასთან დაკავშირებული წესები** | | | | | | | |
| 48. | „ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება | 97/67/EC დირექტივა ევროკავშირის საფოსტო მომსახურების შიდა ბაზრის განვითარების და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების საერთო წესების შესახებ<br><br>2002/39/EC დირექტივა, რომელიც ეხება ევროკავშირის საფოსტო მომსახურების შემდგომ გახსნას კონკურენციისთვის<br><br>2008/6/EC დირექტივა, რომელიც ეხება ევროკავშირის საფოსტო მომსახურების შიდა ბაზრის სრულ ხელმისაწვდომობას | **დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი**<br><br>**იურიდიულ საკითხთა კომიტეტი**<br><br>**ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი** | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | 2020 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია 97/67/EC, 2002/39/EC, 2008/6/EC დირექტივებთან დაახლოება | ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი |

| კონკურენცია | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 49. | „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკანონმდებლო პაკეტის მიღება | ასოცირების შესახებ შეთანხმების 203-205-ე მუხლები | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი<br><br>საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო<br><br>სსიპ კონკურენციის სააგენტო | 2020 წლის საგაზაფხულო სესია | მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილია ასოცირების შეთანხმების 203-205-ე მუხლებით ნაკისრი ვალდებულება | საკანონმდებლო მაცნე |

## ასოცირების შეთანხმების განხორციელება: საპარლამენტო ზედამხედველობა

| | ღონისძიება | შესაბამისობა ასოცირების შეთანხმებასთან | დარგობრივი კომიტეტი | სხვა მონაწილე მხარე | პერიოდი | ინდიკატორი | დადასტურების წყარო |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ანგარიშის მოსმენა ასოცირების საბჭოს მუშაობის შესახებ | ასოცირების შეთანხმების 404-406 მუხლები | საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | ასოცირების საბჭოს ჩატარებიდან სამი კვირის ვადაში | ასოცირების საბჭოს მუშაობის შესახებ სულ მცირე ერთი ანგარიშის მოსმენა | სხდომის ოქმი, დასკვნა/ რეკომენდაცია |
| | ანგარიშის მოსმენა ასოცირების კომიტეტის მუშაობის შესახებ | ასოცირების შეთანხმების 407-ე მუხლი | საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | ასოცირების კომიტეტის ჩატარების შემდეგ ერთი თვის ვადაში | ასოცირების კომიტეტის მუშაობის შესახებ სულ | სხდომის ოქმი, დასკვნა/ რეკომენდაცია |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | | | მცირე ერთი ანგარიშის მოსმენა | |
| | ევროკავშირ-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის (PAC) სხდომების ორგანიზება და ერთობლივი განცხადებების მიღება | ასოცირების შეთანხმების 410-ე და 411-ე მუხლები | ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | ევროპის პარლამენტის ასოცირების საპარლამენტო კომიტეტის მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაცია | თებერვალი<br><br>მეორე სხდომა სექტემბერი | სულ მცირე ორი სხდომის ორგანიზება და ორი ერთობლივი განცხადების მიღება | სხდომის ოქმი, განცხადება/რეკომენდაციები |
| | ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის, მათ შორის, ბიუროს, კომიტეტებისა და სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში მონაწილეობა, ანგარიშების მომზადება და დამტკიცება | | ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაცია | 6-9 აპრილი<br><br>სექტემბერში | სულ მცირე ოთხი ანგარიშის მიღება | სხდომის ოქმი, ანგარიში |
| | ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეროვნული პარლამენტების ევროპულ საქმეთა კომიტეტების კონფერენციაში (COSAC) მონაწილეობა | | ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | | 2020 | სულ მცირე ერთ კონფერენციაში მონაწილეობა | სხდომის ოქმი |
| | საგარეო საქმეთა სამინისტროს ანგარიშის მოსმენა ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით სამინისტროს მიერ | | საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | წელიწადში ორჯერ | სულ მცირე ორი ანგარიშის მოსმენა | სხდომის ოქმი, დასკვნა/ რეკომენდაცია |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გაწეული საქმიანობის (მათ შორის, ევროკავშირის პროგრამებსა და სააგენტოებში საქართველოს მონაწილება/ჩართვის) შესახებ | | ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | | | | |
| | ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტისა და დარგობრივი კომიტეტის აპარატის სამუშაო შეხვედრა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე | | ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის აპარატი<br><br>დარგობრივი კომიტეტების აპარატი | აღმასრულებელი ხელისუფლების უწყებების წარმომადგენლები | კვარტალში ერთხელ | სულ მცირე ოთხი სამუშაო შეხვედრა | სხდომის ოქმი, დასკვნა/ რეკომენდაცია |
| | ანგარიშის მოსმენა გარემოს დაცვის სფეროში და კლიმატთან დაკავშირებული ქმედებების თაობაზე ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების შესახებ | | გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | მარტი-აპრილი<br><br>6 თვის ანგარიშის მოსმენა სექტემბერი | სულ მცირე ორი ანგარიშის მოსმენა | სხდომის ოქმი, დასკვნა/ რეკომენდაცია |
| | ანგარიშის მოსმენა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის სფეროში ასოცირების შეთანხმებით | | აგრარულ საკითხთა კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | მარტი-აპრილი<br><br>6 თვის ანგარიშის მოსმენა სექტემბერი | სულ მცირე ორი ანგარიშის მოსმენა | სხდომის ოქმი, დასკვნა/ რეკომენდაცია |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ | | | | | | |
| | ანგარიშის მოსმენა ენერგეტიკის სფეროში ასოცირების შეთანხმებით და ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების შესახებ | | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | მარტი-აპრილი<br><br>6 თვის ანგარიშის მოსმენა სექტემბერი | სულ მცირე ორი ანგარიშის მოსმენა | სხდომის ოქმი, დასკვნა/ რეკომენდაცია |
| | ანგარიშის მოსმენა ტრანსპორტის სფეროში ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების შესახებ | | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | მარტი-აპრილი<br><br>6 თვის ანგარიშის მოსმენა სექტემბერი | სულ მცირე ორი ანგარიშის მოსმენა | სხდომის ოქმი, დასკვნა/ რეკომენდაცია |
| | ანგარიშის მოსმენა დასაქმების, სოციალური პოლიტიკის და თანაბარი შესაძლებლობების, ასევე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების შესახებ | | ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო | მარტი-აპრილი<br><br>6 თვის ანგარიშის მოსმენა სექტემბერი | სულ მცირე ორი აგარიშის მოსმენა | სხდომის ოქმი, დასკვნა/ რეკომენდაცია |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ანგარიშის მოსმენა განათლების სფეროში ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების შესახებ | | განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი<br><br>სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | მარტი-აპრილი<br><br>6 თვის ანგარიშის მოსმენა სექტემბერი | სულ მცირე ორი ანგარიშის მოსმენა | სხდომის ოქმი, დასკვნა/ რეკომენდაცია |
| | ანგარიშის მოსმენა მართლმსაჯულების, თავისუფლების და უსაფრთხოების თემაზე ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების შესახებ | | იურიდიულ საკითხთა კომიტეტი<br><br>ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო | მარტი-აპრილი<br><br>6 თვის ანგარიშის მოსმენა სექტემბერი | სულ მცირე ორი ანგარიშის მოსმენა | სხდომის ოქმი, დასკვნა/ რეკომენდაცია |
| | ანგარიშის მოსმენა ფინანსური მომსახურების, დაზღვევის, ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის მიმართულებით ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ | | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br><br>საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო<br><br>ფინანსთა სამინისტრო | მარტი-აპრილი<br><br>6 თვის ანგარიშის მოსმენა სექტემბერი | სულ მცირე ორი ანგარიშის მოსმენა | სხდომის ოქმი, დასკვნა/ რეკომენდაცია |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ვალდებულებათა შესრულების შესახებ | | ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | | | | |
| | ანგარიშის მოსმენა ასოცირების შეთანხმების ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულებაზე | | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | წლის პირველი კვარტალი | სულ მცირე ერთი ანგარიშის მოსმენა | სხდომის ოქმი, დასკვნა/ რეკომენდაცია |
| | საქართველოს ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენა, მათ შორის, ასოცირების შეთანხმების შესრულების მიმართულებით | | საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი<br><br>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | კვარტალში ერთხელ | საქართველოს ბიუჯეტის შესრულების შესახებ სულ მცირე სამი ანგარიშის მოსმენა | სხდომის ოქმი, დასკვნა/ რეკომენდაცია |
| | ინფორმაციის მოსმენა ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობის შესახებ | | ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი<br><br>დარგობრივი კომიტეტი | საქართველოს მთავრობა<br><br>სამინისტროები | 2020 | სულ მცირე ორი ანგარიშის მოსმენა | სხდომის ოქმი, დასკვნა/ რეკომენდაცია |
| | ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან | | ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | საქართველოს მთავრობა | 2020 | ჩატარებული თემატური მოკვლევის | სხდომის ოქმები, |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დაკავშირებულ საკითხზე თემატური მოკვლევის ჩატარება | | დარგობრივი კომიტეტი | | | რაოდენობა (სულ მცირე 1 მოკვლევა) | დასკვნა/ რეკომენდაცია |
| | ინფორმაციის გამოთხოვა ასოცირების ქვეკომიტეტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა თაობაზე | ასოცირების შეთანხმების 409-ე მუხლი | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი<br>გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი<br>აგრარულ საკითხთა კომიტეტი<br>ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი<br>ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო<br>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო<br>საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო<br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო | ანგარიშის მიღება ქვეკომიტეტის ჩატარებიდან ერთი თვის ვადაში | ასოცირების ქვეკომიტეტე ბის მიერ მიღებულ გადაწყვეტი ლებათა თაობაზე სულ მცირე სამი დოკუმენტის გამოთხოვა | ოფიციალური წერილები საგარეო საქმეთა სამინისტროდან |
| | ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე დინამიური დაახლოების საკითხზე გამართულ შეხვედრებში მონაწილეობის მიღება | | ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | 2020 | სულ მცირე ხუთ შეხვედრაში მონაწილეობ ის მიღება | სხდომის ოქმი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ასოცირების შეთანხმების შესრულებისა და საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების კომუნიკაციის სამთავრობო სტრატეგიის შესრულების შესახებ მომზადებული ანგარიშების მოსმენა | | ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი<br><br>საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი | საგარეო საქმეთა სამინისტრო | წელიწადში ერთხელ | სულ მცირე ერთი მოსმენა | სხდომის ოქმი, დასკვნა/ რეკომენდაცია |
| | ანგარიშის მოსმენა შენგენის ზონის ქვეყნებთან ვიზის ლიბერალიზაციით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების თაობაზე | | ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი<br><br>საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი | საგარეო საქმეთა სამინისტრო<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო | წელიწადში ორჯერ | სულ მცირე ორჯერ საკომიტეტო მოსმენა | სხდომის ოქმი, დასკვნა/ რეკომენდაცია |
| | სამოქალაქო საზოგადოების მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულების თემაზე მომზადებული „ჩრდილოვანი ანგარიშების“ განხილვა | | ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი<br><br>შესაბამისი დარგობრივი კომიტეტები | ეროვნული პლატფორმა<br><br>სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები | საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიების მიმდინარეობისას (მთავრობის შესაბამისი ანგარიშების მოსმენამდე) | სულ მცირე ორი ე.წ „ჩრდილოვანი ანგარიშის“ მოსმენა | სხდომის ოქმი, დასკვნა/ რეკომენდაცია |
| | ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მართული ვებპორტალის www.aa.ge - ს რეგულარული განახლება | | კომიტეტები<br><br>პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტი | სამინისტროები | რეგულარულად | ყოველთვიურად ვებპორტალის განახლება | www.aa.ge |

# საქართველოს პარლამენტის საკომუნიკაციო სტრატეგია და გეგმა ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხებზე

## საკომუნიკაციო სტრატეგია

ევროინტეგრაციის საკითხებზე საქართველოს პარლამენტის საკომუნიკაციო სტრატეგია მოიცავს შემდეგ ძირითად კომპონენტებს:

- საკომუნიკაციო ხედვა
- საკომუნიკაციო მისია
- სტრატეგიული მიზნები და ამოცანები
- სამიზნე აუდიტორია და მესიჯები
- საკომუნიკაციო ინსტრუმენტები
- კომუნიკაციის მართვა

**საკომუნიკაციო ხედვა**

ევროინტეგრაციის საკითხებზე საქართველოს პარლამენტის საკომუნიკაციო სტრატეგიის ხედვა განსაზღვრავს იმ ძირითად მიზანს, რაც უნდა შესრულდეს სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგად და რასაც უნდა მიაღწიოს პარლამენტმა შიდა და გარე აუდიტორიის თვალში სტრატეგიის მოქმედების ბოლო ეტაპზე. შესაბამისად, ხედვას მიეცა შემდეგი ფორმულირება:

**2021 წლისთვის საქართველოს პარლამენტი აქტიური რგოლია ევროინტეგრაციის საკითხების კომუნიკაციაში, წარმოაჩენს პოზიტიურ ცვლილებებს და ქმნის დღის წესრიგს საინფორმაციო სივრცეში ევროპასთან დაახლოების საკითხებთან დაკავშირებით.**

**საკომუნიკაციო მისია**

საკომუნიკაციო მისია განსაზღვრავს იმ ძირითად ფუნქციას, რომელიც საქართველოს პარლამენტმა ევროინტეგრაციის საკითხებზე საინფორმაციო სივრცეში აქტიურობის და სხვადასხვა ჯგუფთან კომუნიკაციისას უნდა შეასრულოს. ამ მხრივ ჩამოყალიბდა შემდეგი მისია:

**საკუთარი ფუნქციებიდან გამომდინარე, ევროინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის საკომუნიკაციო მისიაა ფართო აუდიტორიისა და სპეციფიკური სამიზნე ჯგუფების ცნობიერების ამაღლება და სხვადასხვა დაინტერესებული თუ ჩართული მხარის ძალისხმევის გაერთიანება პოზიტიური კომუნიკაციის წარმოებაში, პროცესის მიმართ საზოგადოების მაღალი მხარდაჭერის მისაღებად.**

**სტრატეგიული მიზანი და ამოცანები**

მოცემული ხედვის მიღწევის, ასევე ევროინტეგრაციის საკითხებზე პარლამენტის საქმიანობის საკომუნიკაციო მხარდაჭერისთვის, განისაზღვრა შემდეგი სტრატეგიული მიზანი:

1. ევროინტეგრაციის პროცესის და მისი შედეგების შესახებ ცნობიერების ამაღლება

**სამიზნე ჯგუფები და მესიჯები**

ევროინტეგრაციის საკითხებზე საქართველოს პარლამენტის კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, მნიშვნელოვანი იქნება მიზნობრივი კომუნიკაცია, როცა აქცენტი გაკეთდება სპეციფიკური ჯგუფების ინფორმირებაზე, განათლებასა და ჩართულობაზე. ეს, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას, ხოლო, მეორე მხრივ, წაახალისებს სოციალურ დისკუსიასა და საუბრებს. შესაბამისად, თემა აქტუალობას შეიძენს და გავრცელებული ინფორმაციის სანდოობის ხარისხიც აიწევს.

| სამიზნე ჯგუფები | გზავნილები/ არგუმენტები |
|---|---|
| **სამოქალაქო ორგანიზაციები** | • ინტეგრაციის პროცესი გულისხმობს საქართველოს ფორმირებას დემოკრატიულ, ევროპული ტიპის, ეკონომიკურად და სოციალურად მდგრად სახელმწიფოდ, ძლიერი დემოკრატიული ინსტუტუტებით;<br>• ინტეგრაციის პროცესის წარმატება საერთო ინტერესის საკითხია და მნიშვნელოვანია ძალისხმევის გაერთიანება ამ კუთხით<br>• პროცესისთვის მნიშვნელოვანი იქნება ბენეფიციარებთან თანამშრომლობა მათი ინფორმირებისა და განათლების კუთხით<br>• რუსული პროპაგანდის საპირწონედ აუცილებელია პროცესის კოორდინაცია და მაქსიმალური თანამშრომლობა |

| | |
|---|---|
| | • მცდარ სტერეოტიპებზე არსებობს პასუხები და ისინი უნდა მიეწოდოს მოსახლეობას |
| **ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები** | • ევროპასთან ინტეგრაცია და თავისუფალი ვაჭრობა რეგიონების მაცხოვრებლებისთვის მომგებიანი და სასარგებლო იქნება - ეს მათ ცხადად უნდა განემარტოთ<br>• ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა და რეგიონების გაძლიერება მეტწილად დამოკიდებული იქნება ინტეგრაციის პროცესის სწორად წარმართვაზე<br>• საჭიროა დაპირისპირება მცდარ სტერეოტიპებსა და რუსულ ნარატივთან, მოსახლეობის ნდობის მოპოვება და დარწმუნება<br>• მნიშვნელოვანია ხელისუფლების პირველმა რგოლმა მოქალაქეებს განუმარტოს ევროპული ინტეგრაციის უშუალო სარგებელი: უვიზო მიმოსვლა (პირობები), თავისუფალი ვაჭრობა (რა პირობებით, როგორ ვსარგებლობთ), უკეთესი საცხოვრებელი გარემო (გარემოს დაცვა, ნარჩენების მართვა, ა.შ.), ადგილობრივი ინიციატივების წახალისება |
| **ახალგაზრდობა და სკოლის მოსწავლეები** | • ქვეყნის  სწორი და მდგრადი განვითარებისათვის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია ევროინტეგრაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვა<br>• ახალგაზრდების ჩართვა ევროინტეგრაციის პროცესზე სწორ კომუნიკაციაში გადამწყვეტია, განსაკუთრებით, უფროს თაობასთან ურთიერთობისას<br>• ევროინტეგრაციის პროცესის შედეგად, მომავალ თაობას ექნება უკეთესი განათლების მიღებისა და მრავალფეროვანი გამოცდილების გაზიარების საშუალება |
| **ბიზნეს ორგანიზაციები და ფერმერები** | • ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების შესრულება პირველ რიგში ბიზნესის საქმიანობაზე აისახება, ამიტომ მათ უნდა იცოდნენ ყველა ცვლილების შესახებ<br>• ის რეგულაციები და პრეფერენციები, რომლებიც უკავშირდება ევროინტეგრაციის პროცესს, უნდა განიხილებოდეს და თანხმდებოდეს ბიზნეს სექტორთან, ამიტომ მნიშვნელოვანია მათი აქტიურობა კომუნიკაციაში<br>• ბოლო წლებში განუხრელად იზრდება ვაჭრობა და, განსაკუთრებით, ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში |

| | |
|---|---|
| | • დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, წლიდან წლამდე იზრდება ზოგადად ინვესტიციების მოცულობა ევროპიდან და ჩრდილოეთი ამერიკიდან<br>• იმ სექტორებიდან, რომლებიც განვითარდა დასავლური ინვესტიციების შედეგად, გამოსარჩევია სოფლის მეურნეობის დარგები, მძიმე მრეწველობა და სამთო მრეწველობა<br>• ღონისძიებები და ფორუმები, რომლებსაც ატარებენ დასავლელი პარტნიორები ქვეყნის დასახმარებლად<br>• ევროკავშირის და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებთან მზარდია ვაჭრობის სტატისტიკა<br>• ასევე წლიდან წლამდე იზრდება ვაჭრობაში ჩართული სუბიექტების რაოდენობა - ვინც სარგებლობს ევროკავშირსა და ამერიკასთან ვაჭრობის გააქტიურებით<br>• ევროპული და ამერიკული ინვესტიციებით ყოველწლიურად ათეულობით ახალი ბიზნესი იქმნება, რაც დასაქმების ზრდის პირდაპირი საფუძველია |
| **საერთაშორისო ორგანიზაციები** | • დონორების მხარდაჭერა მნიშვნელოვანია სწორ კომუნიკაციაში და ევროინტეგრაციის პროცესის უპირატესობის მოსახლეობისათვის ჩვენებაში<br>• მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო ღონისძიებების კოორდინაცია მეტი ეფექტის მიღწევისა და კრიზისების პრევენციისათვის |
| **მედია და ჟურნალისტები** | • მოხმარებელს აინტერესებს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები, რაც მედიისთვის მომგებიანია<br>• ევროინტეგრაციის პროცესი საკმაოდ რთული და მრავალწახნაგოვანია, რასაც ღრმა გაშუქება სჭირდება<br>• მოქალაქეებმა უნდა დაინახონ ევროინტეგრაციის სარგებელი, როგორც ქვეყნისთვის, ასევე ინდივიდუალურ დონეზე, რასაც ყველაზე უკეთ მედია შეძლებს<br>• მცდარი სტერეოტიპების დამკვიდრებისა და რუსული ნარატივის გავრცელების წინააღმდეგ ყველაზე ქმედითი იარაღი სრულფასოვანი ინფორმირება და მოსახლეობის განათლებაა, რაც დიდწილად არის დამოკიდებული მედიაზე |
| **საგანმანათლებლო დაწესებულებები** | • გადაწყვეტი და აუცილებელია განათლების სისტემის ჩაბმა ევროინტეგრაციის პროცესების სწორ კომუნიკაციასა და ახალი თაობის სრულფასოვნად ინფორმირებაში |

| | |
|---|---|
| | • მნიშვნელოვანია პედაგოგებისა და პერსონალის ჩართვა ევროინტეგრაციის კომუნიკაციის პროცესში და მათი შესაბამისი სწავლება-მომზადება<br>• ევროინტეგრაციის პროცესი ყველა სფეროზე აისახება, მათ შორის, განათლებაზეც, რაც შეიძლება განათლების მუშაკებმაც გამოიყენონ საკუთარი განვითარებისთვის |
| **პარლამენტის წევრები და აპარატის თანამშრომლები** | • მნიშვნელოვანია მოსახლეობამაც გაიგოს, რაც პარლამენტის წევრებმა და აპარატის თანამშრომლებმა ყველაზე უკეთ იციან - რა შრომას ეწევა პარლამენტი ევროინტეგრაციის პროცესის სწორად წარმართვისთვის<br>• ევროინტეგრაცია ქვეყნის განვითარების და პროგრესის ქვაკუთხედია, რასაც მოსახლეობამდე მიტანა სჭირდება |

**საკომუნიკაციო ინსტრუმენტები**

მედიასთან ეფექტიანი ურთიერთობისა და სწორი, ღრმა გაშუქების მისაღებად, მნიშვნელოვანი იქნება მედიის განათლება ევროინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებით, რასაც გრძელვადიანი და პერმანენტული ხასიათი ექნება. აქცენტი უნდა გაკეთდეს ეროვნული და რეგიონული მედიასაშუალებების წარმომადგენელთა სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო თუ საინფორმაციო აქტივობაში ჩართვაზე, რაც მათ უფრო დეტალურ და ამომწურავ ინფორმაციას მიაწვდის ევროინტეგრაციის პროცესის სარგებელსა და პოზიტიურ მხარეებზე. ამ თვალსაზრისით, აუცილებელია ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა ევროპული დღის წესრიგის შერჩეულ/აქტუალურ საკითხებზე რეგულარულად ჩაატაროს საინფორმაციო შეხვედრები მედიის წარმომადგენლებთან. ამასთან, მედიატურებისა და სემინარების გარდა, უმჯობესი იქნება ჟურნალისტებისა და მედიის წარმომადგენელთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მათთან ერთად საკომუნიკაციო კამპანიების დაგეგმვა და სხვა მსგავსი ღონისძიებანი.

სტერეოტიპების რაოდენობის კუთხით, ევროინტეგრაციის საკითხი ალბათ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია ქართულ საინფორმაციო სივრცეში. ეს პრობლემა ვერ გადაიჭრება ცალმხრივი კომუნიკაციით, თუნდაც, აქცენტი პროცესის უპირატესობებზე გაკეთდეს და არგუმენტირებული ინფორმაცია გავრცელდეს. ასეთ შემთხვევაში აუდიტორიის მიმღებლობა ნაკლებია. უფრო ქმედითია ადამიანების ჩართვა სხვადასხვა ტიპის განხილვაში, რათა მათ თავად ჩამოუყალიბდეთ პოზიცია ამა თუ იმ საკითხთან მიმართებით. ამიტომ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი დისკუსიების ინიცირება, მწვავე საკითხების წინ წამოწევა, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან მუშაობა, „დაფიქრების“ პროვოცირება, რაც სოციალური ქსელებისა და სხვადასხვა მედიასაშუალების გამოყენებით გახდება შესაძლებელი. მნიშვნელოვანია ამ პროცესში ინტერნეტისა და ადგილობრივი აზრის ლიდერების ჩართვაც.

## კამპანიების განხორციელება

ევროინტეგრაციის საკითხებზე კომუნიკაციის ეფექტიანად წარმოებისას ქმედითი იქნება ე.წ. კამპანიური მიდგომის გამოყენება. კერძოდ, მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებისას, თუ ახალი რეგულაციის შემოღებისას, რომელიც არსებითად აუმჯობესებს საზოგადოებრივ პროცესებს და ასოცირების შეთანხმების შესრულებას უკავშირდება, შედეგიანი იქნება კარგი საკომუნიკაციო კამპანიის დაგეგმვა. ამისათვის, საჭიროა კონკრეტული საკითხის იდენტიფიკაცია, შემდეგ განსხვავებულად ბრენდირება, სპეციფიკური აქტივობების გეგმის შემუშავება და ერთიანი ქოლგის ქვეშ მათი განხორციელება. ეს გაზრდის გადატვირთულ საინფორმაციო სივრცეში თემის იდენტიფიკაციის ალბათობას. შედეგად, აუდიტორია ძირითად გზავნილებს უკეთ აღიქვამს და დაიმახსოვრებს.

ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ისეთ საკითხებსა და თემებზე სპეციფიკური კამპანიების განხორციელება, როგორიცაა: გარემოს დაცვა/ნარჩენების მართვა, შრომითი უფლებების დაცვა, საკვები პროდუქტისა და სათამაშოების უვნებლობა თუ სხვა. კამპანიების წარმართვისას მნიშვნელოვანი იქნება ინტენსიური პირდაპირი კომუნიკაცია, განსაკუთრებით, რეგიონებში.

## კომუნიკაციის მართვა

წინამდებარე სტრატეგიის საფუძველზე მომზადდა მრავალწლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის შესრულებაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს **საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი**. თუმცა, მოცემული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის არსებული რესურსი საკმარისი არ იქნება. შესაბამისად, სტრატეგიის შესრულებისას ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა უნდა გააერთიანოს პარლამენტის სხვადასხვა კომიტეტის, ასევე შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების (მაგ. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი) შესაძლებლობები და ძალისხმევა.

რეგიონული საქმიანობის უკეთესად წარმართვისათვის, პარლამენტს შეუძლია გამოიყენოს მაჟორიტარი დეპუტატების ადგილობრივი ბიუროები, როგორც ევროინტეგრაციის საკითხების კომუნიკაციის ერთგვარი რესურსცენტრი და ადგილზე ჩასატარებელ ღონისძიებათა საკოორდინაციო რგოლი. ამისთვის საჭირო იქნება ბიუროების წარმომადგენლების მომზადება და მათი უზრუნველყოფა სპეციალური საინფორმაციო მასალებითა თუ მესიჯბოქსებით. მაჟორიტარების ბიუროების თანამშრომლებმა შესაბამისი ტრენინგები შეიძლება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთადაც გაიარონ.

**შეფასების ანგარიშგების პროცედურა**

მნიშვნელოვანია ევროინტეგრაციის საკითხებზე საქართველოს პარლამენტის საკომუნიკაციო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების მუდმივი მონიტორინგი და ანგარიშგება. ყოველ 6 თვეში უნდა მომზადდეს სამოქმედო გეგმის შესრულების დეტალური ანგარიში, რომელიც შემდეგ ინფორმაციას მოიცავს:

- რა საქმიანობა იყო ამ დროისთვის დაგეგმილი?
- რა და როგორ შესრულდა მოცემულ პერიოდში?
- რა ვერ განხორციელდა და რა იყო ამის მიზეზი?
- რეკომენდაციები, თუ რა უნდა შეიცვალოს გეგმის ადეკვატურად შესასრულებლად და ხელისშემშლელი პირობების გასანეიტრალებლად
- რა უნდა შეიცვალოს თავად გეგმაში ახალი რეალობის გათვალისწინებით?

ანგარიშის მონაცემების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები უნდა შევიდეს როგორც სტრატეგიაში, ასევე სამოქმედო გეგმაში.

## საკომუნიკაციო გეგმა

| | ღონისძიება | პასუხისმგებელი კომიტეტი | სხვა მონაწილე მხარე | პერიოდი | ინდიკატორი | დადასტურების წყარო |
|---|---|---|---|---|---|---|
| ***ევროინტეგრაციის პროცესისა და მისი შედეგების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება*** | | | | | | |
| 1. | გადაცემების ციკლი საზოგადოებრივ მაუწყებელზე | ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი | პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და | 2020 | საზოგადოებრივ მაუწყებელზე სულ მცირე ოთხი ტელეგადაცემის ციკლის წარმოება | მედიამონიტორინგის ანგარიში |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ინფორმაციის დეპარტამენტი | | | |
